# სამაისო სპორტული პანორამა

მთელმა საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა მშრომელთა სოლიდარობის დღე — პირველი მაისი. როგორც მუდამ, სამაისო ზეიმზე საინტერესო სპორტული შეჯიბრებები გაიმართა.

ჩვენი ქვეყნის მთავარი სპორტული სარბიელი — ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ულამაზესი დღესასწაულის ცენტრი იყო — სწორედ აქ მოეწყო საზაფხულო სეზონის გახსნა, რომელსაც ტრადიციისამებრ მუდამ პირველი მაისის მეორე დღეს ზეიმობენ. ცა მოქუფრული იყო, მაგრამ მზის სხივების მაგიერ სარბიელზე წითელი ალმების შუქი ენთო, ათასფრად ელავდა ფიზკულტურელთა საზეიმო ტანსაცმელი, ტრანსპარანტებისა და დროშების ტყე.

წლევანდელი ზეიმის დევიზი იყო: „დიდება ლენინურ კომკავშირს". სწორედ გმირული კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს დღესასწაული მოსკოვის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა.

დღის 3 საათზე სტადიონის შემოგარენს კრემლის კურანტების ხმა მოეფინა. ფიზკულტურელმა დინამოელებმა ალისფერი ალმები ააფრიალეს, საზეიმოდ აჟღერდა სიმღერა ლენინზე.

უდიდესი მხატვრული ოსტატობით შესრულდა წარმოდგენა-პროლოგი, რომლითაც მოსკოველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა გამოხატეს კომკავშირის გმირული წარსული, მისი ღვაწლი სამოქალაქო ომის წლებში, საბჭოთა მშენებლობებზე, დიდ სამამულო ომში, ომის შემდგომ წლებში, ჩვენს დღეებში.

მაყურებლები ტაშით შეხვდნენ სამხედრო მუსიკოსებს, შემდეგ კი სარბიელზე გამოვიდნენ ფიზკულტურელთა კოლონები, „დინამოს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", დოსააფის, „ზენიტის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", „ტრუდის", „უროჟაის", ცსკა-ს სპორტსმენები. ამ გიგანტურ რაზმში 2730 ფიზკულტურელი იდგა.

გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენებმა, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა — ნ. ოტკალენკომ, ნ. დურნევმა, ვ. კარასიოვმა, ა. სერედინამ, ლ. ილიჩოვმა, ო. ხარლოვამ, ე. კოსმატოვმა, ა. პოდიაბლონსკიმ სტადიონის თავზე სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი ააფრიალეს.

კიდევ ერთი საზეიმო ცერემონიალი: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშანს — „სპორტული მამაცობისთვის" გადასცემენ სახელოვან საბჭოთა სპორტსმენებს. დაჯილდოებულთა შორის არიან ლ. ლატინინა, ს. სმილძინია, ლ. იაშინი, რ. კლიმი, ვ. ივანოვი, ვ. პოპენჩენკო, ლ. ჟაბოტინსკი, ჩვენი გამოჩენილი ჰოკეისტები ვ. ალექსანდროვი, ვ. ვიკულოვი, ვ. დავიდოვი, ო. ზაიცევი, ვ. პოლუპანოვი, ა. რაგულინი, ვ. სტარშინოვი, ა. ფირსოვი, მათი მწვრთნელები ა. ჩერნიშოვი და ა. ტარასოვი.

მინდორზე დაიწყო ტანვარჯიშული ბალი, რომელშიც „სპარტაკისა" და „იუნოსტის" სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შემდეგ კი დადგა სპორტული ზაფხული: პირველად სტარტი აიღეს 20 კილომეტრზე მორბენლებმა, რომლებიც გაზეთ „მოსკოვსკაია სპორტივნაია ნედელიას" პრიზს ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ კვალში მიჰყვნენ სპორტული სიარულის ოსტატები. სამხედრო სპორტსმენები სამხედრო-გამოყენებით ესტაფეტაში ასპარეზობდნენ. სარბიელზე გამოვიდნენ ცხენოსნებიც.

მაგრამ სპორტული ზეიმი მხოლოდ ლუჟნიკის სტადიონით როდი შემოიფარგლა. სარბიელად იქცა მთელი სადოვოე კოლცო, სადაც მოსკოვის სპორტულ საზოგადოებათა და მოსწავლეთა რაიონული გუნდების შეჯიბრება მოეწყო მძლეოსნობაში. აქ 41-ედ აიღო სტარტი ტრადიციულმა მძლეოსნურმა ესტაფეტამ გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" პრიზზე.

დღესასწაული თითქმის მთელ ქალაქს მოედო. ასპარეზობდნენ „დინამოს", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", ცსკა-ს სპორტსმენები.

„დინამოს" სპორტდარბაზში გაიმართა ფრენბურთელ ქალთა მეორე ნახევარფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (მოსკოვი) და სპორტული კლუბი „ლაიპციგი" (გდრ). მოსკოველებმა გაიმარჯვეს (3:1) და გათამაშების ფინალში გავიდნენ (მოსკოველთა გამარჯვებით — 3:0 — დამთავრდა ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური მატჩი ლაიპციგშიც). ახლა „დიდი კრისტალის" სამეზის მფლობელების — დინამოელების მეტოქე ცსკა-ს ფრენბურთელთა გუნდი იქნება.

ზეიმის ფინალი იყო ფეხბურთელთა მატჩი ქვეყნის პირველობაზე დედაქალაქის „სპარტაკსა" და როსტოვის არმიელთა შორის.

2 მაისი სხვა სპორტულ გამარჯვებათა დღეც იყო: წიდოვანი ბილიკის ცნობილმა ოსტატმა, უფელმა ი. პლეხანოვმა ყველას აჯობა სპიდვეისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ჩესკე-ბუდეიოვიცეში ჩატარდა. იუგოსლავიაში გამართულ რბოლაში გამარჯვებულთ სათავეში ჩაუდგა ოთხი საბჭოთა მოტოციკლისტი — [illegible], ვიუნოვი და [illegible] მათ ამავე [illegible] ლეს.

2 მაისს გამოცხადდა, რომ მომავალ საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც 17 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე ჩატარდება შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში, 45 ქვეყნის მოჭადრაკეები მიიღებენ მონაწილეობას. 1952 წლიდან ამ გუნდური საჭადრაკო ფორუმის უცვლელი გმირები საბჭოთა მოჭადრაკეები არიან.

ამ დღეს თავიანთი საზაფხულო სეზონი გახსნეს ყირგიზეთის მთამსვლელებმაც, რომელთაც მოაწყვეს მასობრივი ასვლა „კომკავშირის" პიკზე (4.140 მ) და მწვერვალ „პიონერზე" (4.050 მ).

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების გამოსვლები თბილისში, საპირველმაისო დემონსტრაციის დროს. ფოტო მ. კვირიკაშვილისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 86 (3570)

1968 წ. 4 მაისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.






## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 7 | 3 | 4 | 0 | 7—2 | 10 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—2 | 9 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 6 | 3 | 3 | 0 | 9—5 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 9—6 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 6 | 3 | 2 | 1 | 5—3 | 8 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—3 | 7 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 6 | 1 | 5 | 0 | 6—4 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 5—3 | 7 |
| ცსკა | 6 | 1 | 5 | 0 | 5—3 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 6 | 2 | 3 | 1 | 4—4 | 7 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 3—6 | 7 |
| „დინამო" (მინსკი) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—1 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 6 | 1 | 3 | 2 | 4—5 | 5 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—8 | 5 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 7 | 0 | 5 | 2 | 5—9 | 5 |
| „არარატი" (ერევანი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—7 | 4 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 2—8 | 4 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 6 | 1 | 1 | 4 | 5—9 | 3 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 6 | 1 | 1 | 4 | 2—6 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 0 | 3 | 3 | 7—13 | 3 |

## დუბლიორთა შესახებ

1:0, 1:0, 1:0, 2:1, 3:0. 5 მატჩი — 5 გამარჯვება! ასეთი შესანიშნავი მაჩვენებლებით წარსდგნენ კიროვაბადის თანაკლუბელებთან მატჩში თბილისის „დინამოს" დუბლიორები.

თბილისელებმა ეს თამაშიც კარგად ჩაატარეს და ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მეტოქე. 2 ბურთი გაიტანა ქორიძემ, 1 — ქიქავამ. ახლა გუნდს 12 ქულა აქვს აღებული. მაქსიმუმი!

ეს სასიხარულო ამბავია, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დუბლიორების მატჩებს წლეულს რატომღაც „კულისებში" ატარებენ. თბილისის „დინამოს" სათადარიგო გუნდში ახლა რამდენიმე საინტერესო, მზარდი ფეხბურთელია, კოლექტივს აქვს შესანიშნავი მაჩვენებლები და მით უფრო გასაკვირია, რომ გუნდის მატჩებს მეორეხარისხოვან მინდვრებზე ნიშნავენ.

ვფიქრობთ, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს უნდა დაეთმოთ საუკეთესო სტადიონები. მათ ეს დაიმსახურეს.

## მეოთხე ყაიმი ზედიზედ

ბელგრადი, 3 მაისი. გუშინ აქ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის — მ. ტალ — ს. გლიგორიჩის ორთაბრძოლის V პარტია. რაკი თავიდანვე ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღო უპირატესობა, 25-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ანგარიში გახდა 3:2 იუგოსლაველი დიდოსტატის სასარგებლოდ. მეტოქეებს 5 პარტია დარჩათ სათამაშო.

## აი, სტარტი!

თბილისის უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა ღია პირველობა, რომელიც ამ დღეებში დაიწყო, მეცნიერების ამ ტაძრის 50 წლისთავს ეძღვნება. ტურნირში 11 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის, ოსტატები თ. კიკიანი, ი. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატები გ. ვარდოსანიძე, ჰ. არნშტეინი, ჯ. მუკნიაშვილი, ა. ლიპარტელიანი და ნ. ჩახოიანი.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ჩიქოვანი — 2,5 ქულა, თ. ჯახუტაშვილი და არნშტეინი—2-2 (1-1). აღსანიშნავია, პირველთანრიგოსან ჯახუტაშვილის საუცხოო სტარტი, რომელმაც კიკიანსა და ჩახოიანს მოუგო.

**ა. ჯლარკავა,**
პირველობის მსაჯი.

III ქვეჯგუფი

## 1 გოლი და 3 გაძევებული მოთამაშე

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 3 მაისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 0:1 (0:0).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, მირიანაშვილი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია (მიქაშავიძე), შხვაცაბაია, ჭელიძე (მესხიძე), მაზიაშვილი, ჭეიშვილი, მელიქიძე.

„ტორპედო": კაცუბა, ტილოშევსკი, ავცინოვი, მარშანსკი, მარმაზა, ივანოვი, ეროხინი, ბულჩანოვი, ბორისენკო, პანკრატოვი, პრიგორიევი.

მსაჯი ც. ზადოიანი (ერევანი).

დუბლიორები — 1:0 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

პირდაპირ უნდა ითქვას: თბილისის „ლოკომოტივის" საგაზაფხულო მომზადების დონიდან თითქმის არაფერი დარჩა. კარგი სტარტის შემდეგ გუნდმა ჯერ გასვლაზე დაკარგა ქულები, ახლა კი საკუთარ მინდორზეც განიცადა მარცხი, რომელშიც შემთხვევითი არაფერი იყო: თბილისელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს.

შეუთამაშებლობა და უსისტემობა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში იგრძნობოდა. შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებზე გრძელიშვილმა შეცდომა დაუშვა და პანკრატოვს ბურთის გატანის საშუალება მისცა. ამ გოლის გაქვითა რკინიგზელებმა ვერ შეძლეს.

აღსანიშნავია, რომ მატჩი უხეში თამაშითაც აღინიშნა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს მიქაშავიძე, პანკრატოვი და ბულჩანოვი.

**ე. ტაბუცაძე.**

# მონდომება, ბაზები და ინვენტარი

— სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარების ახალი ღონისძიებანი დაისახა: ჩატარდა მწვრთნელთა და სპეციალისტთა გადასამზადებელი სემინარი, რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლამ სამთოსათხილამურო სპორტის შემსწავლელი ჯგუფები შექმნა თბილისში, ბაკურიანში, მესტიაში, გაიზარდა სარეალიზაციოდ შემოზიდული ინვენტარის რაოდენობა და ხარისხი, იმატა ბაკურიანში ბაზების მშენებლობის ტემპმა, — სათხილამურო ფედერაციის მორიგ პლენუმზე ასე დაიწყო საანგარიშო მოხსენება საქართველოს სამთოსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. მხეიძემ.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამთავრდა ახალი საბაგირო გზის (მიტარბი — კოხტა-2) დაპროექტება, საქართველოს ტურიზმის სამმართველო ალბათ მალე დაიწყებს ჩეხოსლოვაკიიდან მიღებული საბაგირო გზის მონტაჟს „კოხტა-2"-ის შუბლიდან წვერამდე, დასასრულს უახლოვდება საქართველოს სპორტკავშირის ბაზა-პანსიონატის მშენებლობა და სხვ. ბაკურიანში 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობაზე ფედერაციამ შარშან ამ საქმის გამოჩენილი სპეციალისტი პ. დემენტიევი მოიწვია, საბაგირო გზების მუშაობის გაცნობის მიზნით კი ტერსკოლში გაგზავნა ბაკურიანის სამთოსათხილამურო ბაზის დირექტორი ვ. ფანჯაკიძე და საბაგირო გზის ინჟინერი ი. სვანიძე.

სათანადო დახმარება გაეწია საქართველოს მეორე სათხილამურო ცენტრს მესტიას, სადაც მალე მწყობრში ჩადგება 45-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი.

ფედერაციამ გარდა იმისა, რომ საკავშირო ტურნირებში მონაწილეობის საშუალება მისცა, წვრთნის სათანადო პირობებიც შეუქმნა ჩვენს მოთხილამურეებს. ამან ნაყოფიც გამოიღო. ბოლო ორ წელიწადში მომზადდა 5 სპორტის ოსტატი და 8 ოსტატობის კანდიდატი, ხოლო სამ კაცს საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა...

მომხსენებელმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო სათხილამურო სპორტის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას. მან აღნიშნა, რომ მეტისმეტად საგრძნობია ბაზების სიმცირე. ბაკურიანის მოქმედი საბაგირო გზის რეკონსტრუქცია წლების მანძილზე იმიტომ გაჭიანურდა, რომ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ არავის დაავალა სათადარიგო ნაწილების (ავარიული მუხრუჭი, ელექტრობლოკები და სხვ.) დამზადება. ბაკურიანის მოქმედი საბაგირო გზის შეკეთებას სერიოზულად არ მოეკიდა სპორტნაგებობათა სამმართველოს სამშენებლო კონტორაც.

დღემდე ვერ გადაწყდა რესპუბლიკის სხვა მთიანი რაიონების საბაგირო გზებით აღჭურვის საკითხი. სწორედ ამიტომაა, რომ აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მესტიის, დუშეთის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ლენტეხის, ონის, ახალქალაქის რაიონებში ფერხდება სამთოსათხილამურო სახეობების განვითარება. მესტიის სპორტსმენები ამ ნაკლს მონდომებისა და ენერგიული ვარჯიშის წყალობით ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებენ და რესპუბლიკურ ტურნირებში გუნდები მუდამ გამოჰყავთ. სხვაგან კი ეს არ ხდება.

ცუდადაა ტრამპლინების მშენებლობის საქმეც. საქართველოში სადღეისოდ არაა არც ერთი ტრამპლინი, რომელიც რესპუბლიკის ნაკრები გუნდისა და, საერთოდ, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებისთვის გამოდგება. ბაკურიანის ტრამპლინები პიწკალის ფერდობზე მწყობრიდან გამოვიდნენ, ახალი, 90-მეტრიანი ტრამპლინის აგებას კი საშველი არ დაადგა. პრიმიტიული ტრამპლინებია მესტიასა და ამბროლაურში.

სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს არ აწუხებთ შექმნილი მდგომარეობა. „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ ერთხანს წამოიწყო ტრამპლინების მშენებლობა, მაგრამ ზოგი ვერ დაამთავრა, ზოგი კი მეტად პრიმიტიულია.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ბაკურიანში „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ბაზების მდგომარეობაზე, ბავშვთა შორის სათხილამურო სპორტის განვითარებაზე. მან აღნიშნა, ჩვენში სულ მუშაობს განათლების სამინისტროს 30 ჯგუფი: ბაკურიანში — 8, ახალქალაქში — 6, ამბროლაურში — 2, ბოგდანოვკაში — 4, მესტიაში — 10, რომლებშიც 450 ბავშვი მეცადინეობს. ეს მაშინ, როცა მარტო კიროვსკში 2 სპორტული სკოლაა 500-500 მოსწავლით. ამასთან, საქართველოში მომუშავე ჯგუფები სათანადო ინვენტარითა და კადრებითაც ვერ მარაგდებიან.

ამას გარდა, ბაკურიანში „დინამოს" 3 ჯგუფი, ახალქალაქში კი სპორტკავშირის 4 ჯგუფი მუშაობს. ვინაიდან სათანადო შედეგს მხოლოდ „დინამოს" მუშაობა იძლევა, ამ საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ ჯგუფების რიცხვის გაზრდა განიზრახა — შეფობა შესთავაზა ბაკურიანის საშუალო სკოლას. ამ თაოსნობას მოწონებით შეხვდა სკოლის დირექციაც და განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილებაც, მაგრამ ბორჯომის განათლების განყოფილების ხელმძღვანელებმა კარგ საქმეს რატომღაც მხარი არ დაუჭირეს.

ცუდად მუშაობენ სპორტული ჯგუფები ახალქალაქში.

## სათხილამურო სპორტის ფედერაციის პლენუმზე

ფედერაციის თავმჯდომარემ და მოკამათეებმა — სპორტის ოსტატმა მ. გავამ, ბაკურიანელმა მწვრთნელმა ა. ქუმარიტაშვილმა, საქართველოს სამთომოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელმა ი. ოზანაშვილმა, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ქლიბიჩმა, მესტიის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ბ. მჭედლიანმა, ცეკავშირის წარმომადგენელმა ნ. გოგეშვილმა, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის მასწავლებელმა კ. ლომინაძემ, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ცქიტიშვილმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრის გამგემ ა. მალაევიჩმა, თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორმა ს. გვალიამ და საქართველოს სპორტკავშირის მთავარმა მწვრთნელმა სათხილამურო სპორტში ფ. ნავერიანმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციები სპორტსმენებს სათანადოდ ვერ ამარაგებენ ხარისხოვანი ინვენტარით, რომ ბაკურიანის საუკეთესო ბაზები ზამთრობით დამსვენებლებზე ქირავდება. ითქვა ისიც, რომ სპორტსმენთა სრულწლიური წვრთნისათვის არც ერთი საზოგადოება არ ზრუნავს. პლენუმზე აღინიშნა, რომ კვალიფიციური მოთხილამურეების აღზრდა უკეთ მოგვარდება, თუ მთიანი რაიონების სკოლებში სამთო სახეობების სწავლებას შემოიღებენ, ხოლო მესტიასა და ბაკურიანში სპორტსკოლა-ინტერნატი გაიხსნება (ასეთი ინტერნატი 4 წელია არსებობს ტერსკოლში და მისმა მუშაობამ შესანიშნავი ნაყოფიც გამოიღო).

მხედველობიდან არც სამატჩო შეხვედრების აუცილებლობა გამორჩენიათ, ითქვა, რომ საჭიროა უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მოთხილამურეებთან მატჩების გამართვის ტრადიციის აღდგენა, მწვრთნელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

პლენუმმა აირჩია საქართველოს სსრ სათხილამურო სპორტის ფედერაციის, მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის ახალი შემადგენლობა. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ა. მხეიძე, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ი. თგანეზოვი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — კ. ასტახიშვილი.

# მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირისა და საქართველოს რეკორდები

**1968 წლის 4 მაისისთვის**

ვაქვეყნებთ მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირისა და საქართველოს ოფიციალურ რეკორდებს (50-მეტრიანი აუზისთვის). რეკორდები ცხრილშიც ამ თანმიმდევრობითაა დალაგებული.

## ცურვა

## ვაჟები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 52,6 | კ. უოლში (აშშ) | 1967 |
| | 52,9 | ა. გოტვალესი (საფრანგეთი) | 1964 |
| | 53,2 | ლ. ილიჩოვი (მოსკოვი) | 1967 |
| | 57,8 | ა. არტამონოვი (თბილისი, „განთიადი") | 1967 |
| 200 მ | 1.55,7 | დ. შოლანდერი (აშშ) | 1967 |
| | 1.56,9 | ლ. ილიჩოვი (სსრკ) | 1968 |
| | 1.56,9 | ლ. ილიჩოვი (მოსკოვი) | 1968 |
| | 2.07,8 | ზ. ნიკიტინი (თბილისი, „დინამო") | 1957 |
| 400 მ | 4.08,2 | გ. ჩარლტონი (აშშ) | 1967 |
| | 4.09,2 | ა. მასკონი (საფრანგეთი) | 1967 |
| | 4.11,0 | ს. ბელიც-გეიმანი (მოსკოვი) | 1967 |
| | 4.27,6 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 800 მ | 8.42,0 | ფ. ლიუისი (საფრანგეთი) | 1967 |
| | 8.42,0 | ფ. ლიუისი (საფრანგეთი) | 1967 |
| | 8.47,4 | ს. ბელიც-გეიმანი (მოსკოვი) | 1966 |
| | 9.32,8 | ზ. ნიკიტინი (თბილისი, „დინამო") | 1957 |
| 1500 მ | 16.34,1 | მ. ბარტონი (აშშ) | 1967 |
| | 16.52,7 | ს. ბელიც-გეიმანი (სსრკ) | 1967 |
| | 16.52,7 | ს. ბელიც-გეიმანი (მოსკოვი) | 1967 |
| | 18.22,4 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.06,2 | ნ. პანკინი (სსრკ) | 1968 |
| | 1.06,2 | ნ. პანკინი (სსრკ) | 1968 |
| | 1.06,2 | ნ. პანკინი (მოსკოვი) | 1968 |
| | 1.09,1 | ა. ტუტაკაევი (თბილისი, ახკ) | 1966 |
| 200 მ | 2.27,4 | ვ. კოსინსკი (სსრკ) | 1968 |
| | 2.27,4 | ვ. კოსინსკი (სსრკ) | 1968 |
| | 2.27,4 | ვ. კოსინსკი (ლენინგრადი) | 1968 |
| | 2.29,8 | ა. ტუტაკაევი (თბილისი, ახკ) | 1966 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 55,7 | მ. შპიტცი (აშშ) | 1967 |
| | 58,4 | ა. გორდეევი (სსრკ) | 1967 |
| | 58,4 | ა. გორდეევი (ლენინგრადი) | 1967 |
| | 1.04,2 | გ. შეხიკიანი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 200 მ | 2.05,7 | მ. შპიტცი (აშშ) | 1967 |
| | 2.09,4 | ი. ერიკსონი (შვეცია) | 1967 |
| | 2.10,2 | ვ. კუზმინი (მოსკოვი) | 1966 |
| | 2.22,1 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| **ზურგით ცურვა** | | | |
| 100 მ | 58,4 | რ. მატესი (გდრ) | 1967 |
| | 58,4 | რ. მატესი (გდრ) | 1967 |
| | 1 წუთი | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| | 1.07,2 | ბ. კამენსკი (თბილისი, „დინამო") | 1959 |
| 200 მ | 2.07,9 | რ. მატესი (გდრ) | 1967 |
| | 2.07,9 | რ. მატესი (გდრ) | 1967 |
| | 2.11,8 | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| | 2.25,6 | ბ. კამენსკი (თბილისი, „დინამო") | 1961 |
| **კომპლექსური ცურვა** | | | |
| 200 მ | 2.11,3 | ჩ. ჰიკინსი (აშშ) | 1967 |
| | 2.13,5 | ფ. ვიგანდი (გდრ) | 1967 |
| | 2.15,6 | ა. დუნაევი (მოსკოვი) | 1968 |
| | 2.21,7 | გ. შეხიკიანი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 400 მ | 4.45,3 | ა. დუნაევი (სსრკ) | 1968 |
| | 4.45,3 | ა. დუნაევი (სსრკ) | 1968 |
| | 4.45,3 | ა. დუნაევი (მოსკოვი) | 1968 |
| | 4.58,7 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით** | | | |
| | 3.32,6 | აშშ-ს ნაკრები | 1967 |
| | 3.35,6 | სსრ კავშირის ნაკრები | 1967 |
| | 3.35,6 | სსრ კავშირის ნაკრები | 1967 |
| | 3.59,6 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| 4×200 მ | 7.52,1 | აშშ-ს ნაკრები | 1964 |
| | 7.58,6 | საფრანგეთის ნაკრები | 1967 |
| | 7.58,9 | სსრ კავშირის ნაკრები | 1968 |
| | 8.48,2 | საქართველოს ნაკრები | 1959 |
| **კომბინირებული ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 3.56,5 | გდრ-ის ნაკრები | 1967 |
| | 3.56,5 | გდრ-ის ნაკრები | 1967 |
| | 3.58,2 | სსრ კავშირის ნაკრები | 1968 |
| | 4.20,2 | საქართველოს ნაკრები | 1968 |



ტრადიციულად ასეა: მოცურავე რომ მსოფლიო რეკორდს დაამყარებს, მის მწვრთნელს, თუ იგი შეჯიბრებას ესწრება, აუზში აგდებენ. ასე იყო ტალინშიც. „კალევის" აუზის წყალს „გემო გაუსინჯა" მწვრთნელმა ნ. ანანიევმა, რომლის აღსაზრდელმა ა. დუნაევმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 4 წუთი და 45,3 წამი აჩვენა. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს ამერიკელი რ. როტის მიერ 1964 წელს დამყარებულ მიღწევას.

სურათზე: დუნაევი (მარჯვნივ) და ანანიევი ტრადიციული წესის აღსრულებისას.

ფოტო ო. კონკასი (საკდეს).

# ლარსენი თუ პორტიში?

ხვალ იუგოსლავიაში იწყება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მესამე მეოთხედფინალური მატჩი: სტარტზე გამოვლენ დიდოსტატები ბ. ლარსენი (დანია) და ლ. პორტიში (უნგრეთი).

აას-ის კორესპონდენტი შეხვდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს **მ. ბოტვინიკს** და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **ამ ბოლო თვეებში თქვენ ორჯერ შეხვდით ლარსენს საერთაშორისო ტურნირებში. რა აზრისა ხართ მის თამაშზე?**

— პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლარსენი ძალიან მცოდნეა. მრავალფეროვანია მისი სადებიუტო რეპერტუარი — ლარსენისთვის სულ ერთია, რას ითამაშებს. დანიელი დიდოსტატი სადებიუტო სისტემების მუდმივი ვარირებით მეტოქეს უძნელებს შინ საგანგებო მომზადებას. განსაკუთრებით ძნელია მზადება ლარსენის წინააღმდეგ, როცა იგი ტურნირში თამაშობს. სამატჩო ბრძოლაში ფართო სადებიუტო რეპერტუარს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. უფრო მნიშვნელოვანია გქონდეს თუნდაც შეზღუდული, მაგრამ სერიოზულად და ღრმად დამუშავებული რეპერტუარი.

ლარსენი თავს დაჯერებულად გრძნობს არა მხოლოდ დებიუტში, არამედ პარტიის სხვა სტადიებშიც. იგი სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას, სწრაფად თვლის ვარიანტებს, იშვიათად ცდება ტაქტიკურ თამაშში და ძალიან ძლიერია, როგორც მოჭადრაკე პრაქტიკოსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ დანიელი მოჭადრაკე ბევრს მუშაობს და ვფიქრობ, ზედმიწევნით გულმოდგინედ ემზადება შეჯიბრებისთვის. როგორც ჩანს, მას საკმაო დრო აქვს ჭადრაკში ვარჯიშისთვის: ლარსენმა გადაწყვიტა საჭადრაკო პროფესიონალი გამხდარიყო და ამ რამდენიმე წლის წინ მიატოვა ინსტიტუტი. ახლა იგი აღარ სწავლობს და მთელ დროს მხოლოდ ჭადრაკს ახმარს.

● **ლარსენის თამაშში თქვენ ალბათ მხოლოდ ძლიერი მხარეები არ შეგინიშნავთ.**

— ლარსენი ძალიან თავდაჯერებული და, როგორც ყველა მოჭადრაკე, ოპტიმისტური ხასიათის კაცია. ზოგჯერ იგი პოზიციას რამდენადმე ცალმხრივად აფასებს: თავისი პოზიციის ნიუანსებს ძალიან კარგად გრძნობს, მაგრამ მეტოქის ჩანაფიქრის სიღრმეს ხშირად ვერ სწვდება. მაგალითად, პალმა-დე-მალიორკის საერთაშორისო ტურნირში ესპანელ ოსტატ მედინასთან თამაშის დროს მან ერთი სვლა გამოეპარა და მაშინვე მიიღო პოზიციაში, სადაც ობიექტურად თვითონ უნდა მოეგო. ვფიქრობ, მეტოქის მუქარის ეს შეუფასებლობა ლარსენის თამაშის პირველი ხარვეზია. მისი თამაშის მეორე ნაკლი ისაა, რომ ორიგინალური სტრატეგიული იდეები არა აქვს.

● **დღეს მოდად იქცა თქმა, რომ ლარსენის ჩანაფიქრი ღრმა ფანტაზიით გამოირჩევაო. მართლა თუ სტოვებს მისი თამაში ასეთ შთაბეჭდილებას?**

— ლარსენის პარტიებში ძალიან მდიდარი ფანტაზია არ შემინიშნავს. მისი თამაში საკმაოდ რაციონალურია. დანიელი დიდოსტატი მუდამ მზადაა იმ სისტემების სათამაშოდ, რომლებიც კარგად იცის და სადაც მოხერხებულად იყენებს შექმნილ ტაქტიკურ შესაძლებლობებს. საერთოდ, ლარსენის საჭადრაკო ტალანტი უფრო ტაქტიკური ხასიათისაა, ვიდრე სტრატეგიული.

● **მიაღწია თუ არა ლარსენმა უმაღლეს ოსტატობას, როგორც მოჭადრაკემ?**

— არა. ახლა ლარსენი 33 წლისაა და დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის მანძილზე კიდევ შეუძლია მეტს მიაღწიოს.

● **შეიძლება თუ არა, რომ დღეისათვის დასავლეთის უძლიერეს მოჭადრაკედ ლარსენი ჩაითვალოს?**

— ჩვენი აზრით, არა. დასავლეთში პირველ მოჭადრაკედ რობერტ ფიშერი რჩება. ცხადია, ბოლო თვეებში ლარსენმა შთამბეჭდავი სპორტული შედეგები აჩვენა, მაგრამ მის გამარჯვებებს მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. კაპაბლანკას მემორიალი, საზონათშორისო ტურნირი, პალმა-დე-მალიორკას საერთაშორისო ტურნირი შერეული შემადგენლობის შეჯიბრებებია. ამ ტურნირებში ძლიერ მოჭადრაკეებთან ერთად საკმაოდ სუსტი მოთამაშეებიც გამოდიოდნენ. ასეთ შეჯიბრებებში ლარსენი, როგორც წესი, წარმატებას აღწევს. იგი ძალიან სახიფათოა სუსტებისთვის.

● **ორიოდე სიტყვა ფიშერზე. შეიმჩნევა თუ არა სრულყოფა მის თამაშში?**

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მოჭადრაკის წინსვლას პირველ ყოვლისა განსაზღვრავს წარმატება ტურნირში, რომელშიც მხოლოდ ძლიერები თამაშობენ. ფიშერს ასეთ შეჯიბრებებში სანტა-მონიკაში პიატიგორსკის თასზე გამართული ტურნირის შემდეგ აღარ უთამაშია. ამიტომ ობიექტური ლაპარაკი მის სრულყოფაზე არ შეიძლება, სუბიექტურად კი თვითეულს შეუძლია ის იფიქროს, რაც სურს.

● **დავუბრუნდეთ ლარსენს. მინდა გკითხოთ, როგორ აფასებთ მის შანსებს პორტიშთან მატჩში?**

— წინასწარ იმის გამოცნობა, ვინ გაიმარჯვებს მატჩში, ძნელია, თუმცა ლარსენს ალბათ უკეთესი შანსები აქვს. ჭადრაკის გაგების საკითხში ისინი, შეიძლება ითქვას, თანაბარნი არიან. სამაგიეროდ, ლარსენი უფრო სპორტული ხასიათის მოთამაშეა, ვიდრე პორტიში.

● **ნუთუ პორტიში ლარსენზე ნაკლებნებისყოფიანი მოჭადრაკეა?**

— სპორტული ხასიათი მარტო იმით როდი განისაზღვრება, როგორ ხვდება მოჭადრაკე წარუმატებლობას. ლარსენი მზადაა მოგებაზე ეთამაშოს ნებისმიერ მეტოქეს — ამ მხრივ პორტიში ნაკლებ გაბედულია.

● **შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ პორტიშთან მატჩამდე ლარსენის წინაშე დგას დაახლოებით იგივე ამოცანა, რაც მან წარმატებით გადაჭრა სამი წლის წინ, ბ. ივკოვთან მატჩში? ივკოვი და პორტიში ხომ ერთი სტილის მოჭადრაკეები არიან.**

— პორტიში უფრო სახიფათო მოჭადრაკედ მიმაჩნია. თუ ივკოვი, ჩემი აზრით, კმაყოფილია თამაშის იმ კლასით, რომელსაც მიაღწია, პორტიში ცდილობს უფრო ღრმად ჩასწვდეს ჭადრაკს. აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ლარსენის ამოცანა ახლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ივკოვთან თამაშის დროს.

● **ჭადრაკის ბევრი კომენტატორი პორტიშს „უნგრელ ბოტვინიკს“ უწოდებს, მიაჩნიათ, რომ მისი სტილი თქვენსას ჰგავს. თუ იზიარებთ ამ აზრს?**

— არა, არ ვიზიარებ. მე მუდამ ვთამაშობდი და ახლაც უფრო ენერგიულად ვთამაშობ, ვიდრე პორტიში. მისი სტილი უფრო სალო ფლორის თამაშს გვაგონებს. დებიუტის გათამაშებისას პორტიში პირველ ყოვლისა უშიშროებაზე ფიქრობს: მისი სადებიუტო სისტემები, ჩემი აზრით, არ არის საკმაოდ აქტიური.

● **და მაინც, პორტიშის ანგარიშზეა, შეიძლება ითქვას, დებიუტში მოპოვებული რამდენიმე ეფექტური გამარჯვება. საკმარისია გავიხსენოთ მისი ამასწინანდელი მოგება პეტროსიანთან, ტალთან, სპასკისთან?**

— არ უარვყოფ, რომ პორტიში საშიში მოჭადრაკეა: როცა მისი მეტოქენი ცდებიან, სასჯელიც არ აყოვნებს. სხვა საქმეა, როცა დაფაზე ორმხრივად რთული პოზიცია შეიქმნება: აქ პორტიში ნაკლები სიბეჯითით მოქმედებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა, როცა იგი ძლიერი პარტნიორის წინააღმდეგ თამაშობს. უნგრელი დიდოსტატი არ მიეკუთვნება იმ მოჭადრაკეების რიცხვს, რომლებიც ხალისით მიდიან რისკზე.

● **პორტიშმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ტიგრან პეტროსიანის წინააღმდეგ — 4:0. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ უნგრელი დიდოსტატი მსოფლიო ჩემპიონისთვის განსაკუთრებით „უსიამოვნო“ მეტოქე იქნება მატჩში?**

— არა, არ ნიშნავს. და, საერთოდ, ვფიქრობ, არ ღირს ასე შორს ჭვრეტა. სჯობს ვნახოთ, როგორ წარიმართება პორტიშის შეხვედრა ლარსენთან. როგორც ჩანს, მათი ორთაბრძოლა ძალიან საინტერესო იქნება.

**„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ I ᲯᲒᲣᲤᲘ**

2 მაისის ტურის მატჩების შედეგები საგრძნობლად განსხვავდება ადრინდელებისგან. ჯერ ერთი, საკმარისად იქნა გატანილი გოლები: 8 მატჩში — 16 ბურთი. ამას გარდა, ფრედ დამთავრდა მხოლოდ 1 შეხვედრა, დანარჩენ 7 შემთხვევაში კი გამოვლინდა გამარჯვებული.

ლიდერობა ხელთ იგდო შარშანდელმა ჩემპიონმა — კიევის „დინამომ“, რომელმაც ტაშკენტში დაამარცხა „პახტაკორი“ — 2:0. გოლები გაიტანეს პარკუიანმა და ხმელნიცკიმ.

მიმდინარე გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა „კაირატმა“, რომელიც შინ შეხვდა „ჩერნომორეცს“ — 2:0. ანგარიში გახსნა ევგროვემა, ხოლო მეორე ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა აბვოლცმა.

სპარტაკელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ როსტოვის არმიელებთან შეხვედრაში. თამაში დაიწყო ისე, რომ როსტოველთა მცველმა მალიხამ საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. შემდგომში ევლენტიევმა და ამბარცუმიანმა თითო ბურთი გაიტანეს, ხოლო ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორი იყო კოპაევი — 3:1.

კვლავ წარმატებით ითამაშა „ნეფტჩიმ“. ბაქოელებმა ახალბედა რახმანოვისა და ვეტერან ტუაევის მიერ გატანილი გოლების წყალობით მოუგეს „არარატს“ — 2:0.

ძლიერად ითამაშა თავის მინდორზე „შახტიორმა“, რომელმაც პირველი დამარცხება მიაყენა „კრილია სოვეტოვს“ (ერთადერთი გოლი გაიტანა ბაზილევიჩმა). ასეთივე ანგარიშით მოუგო „ზარიამ“ მოსკოვის „ტორპედოს“. გოლის ავტორია რაზდაევი.

როგორც ვთქვით, ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ. „ზენიტისა“ და ცსკა-ს თამაშში ანგარიში გახსნა არმიელმა შულიატიცკიმ. ამ მატჩში არმიელებმა მეორე ბურთიც გაიტანეს, მაგრამ ეს იყო გუნდის კაპიტნის მაგრიჩის გოლი საკუთარ კარში — 1:1. ეს უკვე მესამე გოლია უმაღლეს ლიგაში, რომელიც საკუთარ კარში გააქვთ ფეხბურთელებს. რაც შეეხება პენალტებს, უკვე დანიშნულია 5 პენალტი. აქედან 3 მასპინძელთა, ხოლო 2 სტუმართა სასარგებლოდ. ყველა 11-მეტრიანი რეალიზებულია.

**ᲥᲣᲚᲔᲑᲘ, ᲒᲝᲚᲔᲑᲘ, ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲔᲑᲘ**

# გამარჯვებულებსაც ასამართლებენ...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 2 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 2:0 (2:0).

**თბილისი:** კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, კუტივაძე (შერგელაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია (ქიქავა).

**კიროვაბადი:** მუსაიბოვი (სულეიმანოვი), ნამაზოვი, ლიუბარსკი, ფალკოვსკი, ბატრაევი, კადოევი (სალახოვი), კასუმოვი, მურიტოვი, სტუპინი, აბდულაევი, მაგერამოვი.

მსაჯი ფ. ტიურიკოვი (ხარკოვი).

საფეხბურთო მიმომხილველებში ხშირად შეხვდებით ძველ მოარულ გამოთქმას იმის თაობაზე, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. შეიძლება მართალნი იყვნენ ის ძველი რომაელები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უწყობდნენ გასამართლების სცენებს გამარჯვებულ მხედართმთავრებს მიუხედავად მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა, მაგრამ ჩვენს თანამედროვე პირობებში, როცა ლაპარაკია ფეხბურთზე, მხოლოდ გამარჯვების ფაქტორი არ უნდა განსაზღვრავდეს გულშემატკივართა დამოკიდებულებას მათი გუნდისადმი, თანაც იმ შემთხვევაში, როცა მას დამარცხებული ჰყავს არა რომელიმე ფავორიტი და ძნელი მეტოქე, არამედ მხოლოდდამხოლოდ მოკრძალებული დებიუტანტი.

თბილისის „დინამო“ ახლა კრიზისის პერიოდში იმყოფება. ეს აშკარა ფაქტია. 2 მარცხი გათამაშების სტარტზე, რომელიც გამოწვეულია გუნდის სუსტი თამაშით, ცალკეულ მოთამაშეთა ცუდი ფორმით, არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ საგანგებო ღონისძიებებით და ფორსირებული ტემპებით, თვითეული ფეხბურთელის შესაძლებლობათა მაქსიმალური მობილიზებით. ამას კი ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

ვილაპარაკოთ 2 მაისის მატჩზე. დინამოელები რამდენადმე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე და თამაში კიროვაბადის გუნდთან ფაქტიურად უნდა ყოფილიყო არა მარტო „კალენდარული“ ბრძოლა 2 ქულისთვის, არამედ ამ ახალი შემადგენლობის შეთამაშების სერიოზული ცდა, ძიება თამაშის საერთო კლასის გაუმჯობესებისთვის. მაგრამ, ჩვენი აზრით, შესრულდა მხოლოდ პირველი ამოცანა, ე. ი. ავიღეთ 2 ქულა, თამაშის ხარისხის შეცვლის, პროგრესის ნიშნებისა კი რა მოგახსენოთ. ამგვარი რამ არ შეგვინიშნავს.

გაოცებას იწვევს თავდასხმის ხაზის ინერტულობა და აშკარა სისუსტე. მის წამყვან ძალას, როგორც უწინ, მეტრეველი წარმოადგენს. იგია გუნდის შეტევის მარეგულირებელი ძალა, მაგრამ მეტრეველი ყოველთვის არ მოქმედებს თავისი სრული სიძლიერით, უცდის „მოვლენათა მსვლელობას“, რითაც თავის მრავალფეროვან შესაძლებლობათა მხოლოდ ნაწილს აძლევს კოლექტივს. ეს კი ძალიან დიდი დანაკლისია.

გაუფერულდა გავაშელის თამაშიც. იგი როგორღაც გაითქვიფა საერთო მასაში და დაკარგა თავისი მთავარი თვისება — კარის აღების ალღო და უნარი, რაც მას ასე მომგებიანად ახასიათებდა შარშანდელ მატჩებში. ამას გარდა, გავაშელმა ძველი „სენი“ გაიხსენა და ზედმეტად, ყოველგვარი საჭიროების გარეშე ატარებს ბურთს სწორედ იმ მომენტებში, როცა საჭიროა სწრაფი, გადამწყვეტი დარტყმა.

თბილისელთა თამაშში ახლა აქცენტი კეთდება შუა მინდორზე, ე. ი. ნახევარმცველის ხაზზე. აქ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ზედმეტ რეკომენდაციებს არ საჭიროებენ: ასათიანი, კუტივაძე და გუნდში სულ ახლახან აღდგენილი გამოცდილი ოსტატი გ. სიჭინავა.

გ. სიჭინავამ, როგორც შემსრულებელმა, როგორც ოსტატმა, შესანიშნავი ტექნიკა აჩვენა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მას არაფერი დაუკარგავს თავისი მდიდარი არსენალიდან, მაგრამ როგორი იყო იგი ტაქტიკური თვალსაზრისით, როგორ ასრულებდა გამთამაშებელი ნახევარმცველის ფუნქციებს? ძალიან არაეკონომიურად, დიდი დაყოვნებით, მოკლე გადაცემებით, ტემპის საგრძნობი შეჩერებით. სანახაობრივად ძალზე ლამაზი, რთული ტრიუკის შემდეგ სიჭინავა ამაოდ ეძებდა გზებს კომბინაციათა გაგრძელებისთვის, მაგრამ ყველა ეს გზა, როგორც წესი, დაკეტილი იყო ხოლმე, ვინაიდან სტუმრების 5 რეგულარულ მცველს სხვებიც ეხმარებოდნენ და თბილისელებს ისევ და ისევ შუაგულში უხდებოდათ მინდვრის ტკეპნა. კუტივაძეს სულ ორჯერ-სამჯერ თუ მოახერხა კარში დარტყმა, მაშინ, როცა ამას იგი გაცილებით უფრო ხშირად უნდა აკეთებდეს. არც ასათიანი იყო ისეთი აგრესიული და სახიფათო, როგორც ადრე.

სასაყვედუროა ჩვენი დაცვაც. კიროვაბადელთა მხრივ საშიში თითქოს არაფერი შექმნილა, ვინაიდან მათს თავდასხმაში ხეირიანი ფორვარდი მხოლოდ სტუპინია, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლიერი შეტევისას თბილისელთა მცველები ნერვიულობდნენ, კარგავდნენ ურთიერთკავშირს, დაზღვევას და უსისტემოდ იგერიებდნენ ბურთს. მაგალითად, 52-ე წუთზე მურიტოვმა და სტუპინმა ჩვენს ოთხ მცველს შორის სულ იოლად გაიკაფეს გზა და ამ უკანასკნელმა სრულიად ღია პოზიციაში, კოტრიკაძის პირისპირ, ააცილა ბურთი მიზანს.

ერთი სიტყვით, ხარვეზი საკმარისზე მეტი გვაქვს და ამიტომაა, რომ კიროვაბადელებთან მოპოვებულ გამარჯვებას მაინცდამაინც დიდი აღტაცება არ გამოუწვევია.

გოლები ასე იქნა გატანილი: 26-ე წუთზე ასათიანმა კარიდან დიდი დაცილებით დაამუშავა ბურთი და ზუსტი, ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ტაიმის დასასრულს ასათიანი კარგად გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, ცენტრში მიაწოდა გავაშელს, რომელმაც მეორე ბურთი გაგზავნა კიროვაბადელთა კარში.

ზ. ძორძია.




**„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ**

2 მაისს შედგა მორიგი შეხვედრები რსფსრ-ს III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

## ცხინვალიდან...

გათამაშების დებიუტანტმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო ტურნირის ლიდერი — ოქტემბერიანის „სევანი“. მასპინძლებს, რომლებმაც სწრაფად, ტემპიანად დაიწყეს თამაში, უკვე მე-10 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — გაგიევმა ძელს მოახვედრა ბურთი.

სპარტაკელები ერთხანს განაგრძობდნენ იერიშებს, მაგრამ შემდგომში უპირატესობა „სევანის“ მხარეს გადავიდა. სპარტაკელთა მეკარემ შარაშენიძემ ძალიან ძნელი ბურთები აიღო ოჰანესიანის, ანდრიასიანისა და არუთიუნიანისგან. იყო შემთხვევა, როცა მცველმა ხახანოვმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ ცხინვალელებსაც. კერძოდ, 70-ე წუთზე გაბოძის დარტყმის შემდეგ სტუმრების კარი გადაარჩინა მცველმა სემერჯიანმა. საბოლოოდ თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამ მატჩში ცხინვალის სპორტკავშირმა დააწესა 2 პრიზი საუკეთესო მოთამაშეთათვის. სტუმართაგან იგი მიიღო სარქისიანმა, ხოლო მასპინძელთაგან — ხახანოვმა. ცხინვალის „სპარტაკმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შარაშენიძე, ხახანოვი, მარგიევი, გოგაძე, თედეევი, ქოქოევი, ვასაძე, გიაევი, გაგიევი, გაბოძე, ჯიჩოევი.

ვ. მელქოევი.

## ზუგდიდიდან...

საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ზუგდიდის „ენგურისა“ და პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელის“ შეხვედრა. სულ ახალი დაწყებული იყო თამაში, როცა „ენგურის“ თავდამსხმელი როგავა დრიბლინგით გავიდა მოპირდაპირე კართან, მაგრამ მდგომარეობა იხსნა მეკარე სტოლიაროვის გაბედულმა ნახტომმა. მცირე ხნის შემდეგ სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა ზუგდიდელთა კართან და ახლა თამაშში ჩაება მეკარე ბურჭულაძე. მან აიღო ეგოროვის ძლიერი ბურთი.

ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც, მაგრამ თავდამსხმელთა უხეირო დარტყმებისა და გაუბედაობის გამო ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ზ. ალშიბაია.

## სოხუმიდან...

სოხუმის „დინამო“ მატჩს მატჩზე აგებს და მისი მდგომარეობა დღემდე სავალალო რჩება.

განვლილ შეხვედრაში გროზნოს „უროჟაისთან“ სოხუმელებმა კვლავ ცუდად ითამაშეს. პირველ ტაიმში, მიუხედავად რამდენიმე სახიფათო მომენტისა, ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ „უროჟაის“ დაცვაში დაშვებული შეცდომა გამოიყენა გაბლიამ, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ქერდევმა გაქვითა ეს გოლი — 1:1. მატჩის დასასრულს გაბისკირიამ უშუალოდ კუთხური დარტყმიდან გაზარდა ანგარიში, ბოლო წუთებზე კი სოხუმელებმა კვლავ საშუალება მისცეს მეტოქეს (გუსაროვი) ფრედ დაემთავრებინა თამაში — 2:2.

შ. ჯალაღონია.

fotbal • CALCIO • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS • NOGOMET

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს: უნგრეთი — სსრ კავშირი

დადგა 4 მაისი, დღე, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი: ბუდაპეშტში, „ნეპშტადიონის" მწვანე მინდორზე ევროპის ჩემპიონატის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

ესაა კონტინენტის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თამაში. სადღეისოდ ცნობილია 2 ნახევარფინალისტი. ესენია იუგოსლავიელები, რომლებმაც მოუგეს ფრანგებს (1:1, 5:1) და იტალიელები, რომლებმაც დაამარცხეს ბულგარელები (2:3, 2:0). ამას გარდა, მეოთხედფინალის პირველ მატჩში ინგლისელებმა თავიანთ მინდორზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგეს ესპანელებს, მაგრამ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით (1:0) და ახლა მათ ძალიან ძნელი სარევანშო მატჩი ელით მადრიდში 8 მაისს.

ნახევარფინალური წყვილები ასეთია: იტალიელები შეხვდებიან სსრ კავშირ—უნგრეთს შორის გამარჯვებულს (5 ივნისს ნეაპოლში), ხოლო იუგოსლავიელები ამავე დღეს ფლორენციაში — ინგლის — ესპანეთს შორის გამარჯვებულს. ფინალური მატჩი გაიმართება 8 ივნისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე.

ფეხბურთის მოყვარულები ტელევიზიით ნახავენ დღევანდელი მატჩის ტრანსლაციას ბუდაპეშტიდან 19 საათსა და 50 წუთიდან თბილისის დროით.

## 8 მატჩი ძველ მეტოქეთა შორის

მოგვყავს უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების დღემდე ერთმანეთში გამართული ყველა მატჩის შედეგი.

1. 1954 წ. მოსკოვი. სექტემბერი. სსრ კავშირი — უნგრეთი 1:1.
2. 1955 წ. ბუდაპეშტი. სექტემბერი. უნგრეთი — სსრ კავშირი 1:1.
3. 1956 წ. მოსკოვი. სექტემბერი. სსრ კავშირი — უნგრეთი 0:1.
4. 1957 წ. ბუდაპეშტი. სექტემბერი. უნგრეთი — სსრ კავშირი 1:2.
5. 1958 წ. მოსკოვი. სექტემბერი. სსრ კავშირი — უნგრეთი 3:1.
6. 1959 წ. ბუდაპეშტი. სექტემბერი. უნგრეთი — სსრ კავშირი 0:1.
7. 1963 წ. მოსკოვი. სექტემბერი. სსრ კავშირი — უნგრეთი 1:1.
8. 1966 წ. სანდერლენდი. ივლისი. სსრ კავშირი — უნგრეთი 2:1.

ამრიგად, 8 შეხვედრიდან 4 მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, 1 — უნგრელებმა და 3 დამთავრდა ფრედ.

ვაქვეყნებთ წერილს უნგრელთა ეროვნულ გუნდზე.

## უნგრელთა ბანაკში

ძნელია დაასახელო ევროპის ჩემპიონატის რომელიმე მატჩი, რომელიც ასეთ ინტერესს იწვევდეს. არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი, რომელსაც არ გამოეთქვას აზრი სსრ კავშირ — უნგრეთის მეოთხედფინალურ შეხვედრაზე.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ი. ბერეცი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელები მ. ბუკოვი, ლ. ბაროტი, რ. ილოვსკი, უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტი შ. ბარჩი თვლიან, რომ მათ ნაკრებს აშკარად არ გაუღიმა ბედმა კენჭისყრის დროს. რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ მიაჩნია, რომ უნგრეთის ნაკრები საბჭოთა კავშირის გუნდს ჩამოუვარდება თამაშის კლასით. სრულიადაც არა! მაგრამ აქ ლაპარაკია ტრადიციულად ძნელ მეტოქეზე, რომელთანაც თამაში განსაკუთრებით ძირს.

როგორც ეს ნაკრების ხელმძღვანელს შეშვენის, კ. შოოშმა არ გაიზიარა თავისი კოლეგების სკეპტიციზმი. უფრო მეტიც. მან გაიხსენა 1956 წლის მატჩი მოსკოვში, როდესაც უნგრელებმა ერთადერთი გამარჯვება იზეიმეს — 1:0 (შოოში სწორედ მაშინ ხელმძღვანელობდა ნაკრებს მ. ბუკოვისთან ერთად).

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ შოოშსაც ეტყობა მღელვარება. „მე 7 წელია არ მიმუშავია უნგრეთში, ამიტომ გთხოვთ ნაკრებთან დააარსოთ მწვრთნელთა საკონსულტაციო საბჭო", — ასეთი წინადადებით მიმართა მან ეროვნულ ფედერაციას და მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. საბჭოში შეიყვანეს ლ. ბაროტი, რ. ილოვსკი და ი. ლაკატი.

შოოშმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ნაკრების თითქმის ყველა წევრი ბუდაპეშტის კლუბებში გამოდის და რამდენიმე ხანმოკლე შეკრება გამართა, რის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გუნდის მოწინავე მოთამაშეები კარგ ფორმაში შევიდნენ.

მეკარის საკითხი შოოშს არ აღელვებდა. ჯერ კიდევ მისმა წინამორბედმა ილოვსკიმ იპოვა ტამაში, რომელიც 1966 წლის შემოდგომიდან დაწყებული უცვლელად იცავს უნგრელთა კარს. არც განაპირა მცველები კაპოსტა და იხასი იწვევდნენ რაიმე დავას, მაგრამ მოხდა ისე, რომ იანვრისთვის უნგრელები ორივე სტოპერის—მესეისა და მატრაის გარეშე დარჩნენ. 27 წლის მესეიმ ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ნაკრების ხანგრძლივ გასტროლებში სამხრეთ ამერიკაში და მხოლოდ ამას წინათ გამოვიდა „ვაშაში". მესეი უნგრელთა დაცვის ძირითადი ფიგურაა და უმისოდ თამაში ძნელია. ამიტომ აღნიშნავდა შოოში ასეთი სიამოვნებით, რომ მესეიმ თანდათან აღიდგინა ფორმა. ეტყობა, უნგრელები საბოლოოდ გამოეთხოვებიან ვეტერან მატრაის, რომლის ნაცვლად არაერთხელ (მაგრამ წარუმატებლად) სინჯეს პანჩიჩი. მეორე ცენტრალური მცველის პოსტი შეიძლება სიუჩს მიანდონ.

ნახევარდაცვა კარგა ხანია უნგრეთის ნაკრების ყველაზე უფრო არასტაბილურ რგოლად ითვლება. მიაჩნიათ, რომ ერთი კანდიდატი უდავოა — მატესი, ხოლო მისი პარტნიორი იქნება ერთ-ერთი ყოფილი თავდამსხმელი რაკოში ან გერეში. არის აზრიც, რომ ნახევარმცველად გადაყვანილ იქნას ვარგა.

წინ უნგრელებს ჰყავთ ბენე, ალბერტი, ფარკაში, მოლნარი. მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.. უნგრეთის თავდასხმის ერთადერთი დეფექტი დღემდე ისაა, რომ მას არა ჰყავს მაღალი კლასის გარემარბები. ბენე ტიპიური ცენტრალური თავდამსხმელია და მისი გაყვანა მარჯვენა ფრთაზე იძულებითი ამბავია. უკანასკნელ სეზონში ყურადღება მიიპყრეს კოზმამ და ბრანკოვიჩმა, მაგრამ ორივე ცენტრალური თავდამსხმელია.

ბუდაპეშტის ჟურნალმა „ლაბდარუგაშმა" („ფეხბურთი") ამას წინათ ერთნაირი კითხვით მიმართა მესეის, ბენესა და ალბერტს: „ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი?". „რა თქმა უნდა, უნგრეთი!" უპასუხეს მესეიმ და ბენემ.

უფრო თავშეკავებული აღმოჩნდა გუნდის კაპიტანი ალბერტი. მას კარგად ახსოვს ის დრო, როცა საბჭოთა ფეხბურთელებთან წაგების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში მუშტებით ემუქრებოდა თავის უხეირო მეკარე გელეის. ამიტომ ალბერტმა განაცხადა: „უნგრეთისა და საბჭოთა ნაკრების ძალები დაახლოებით თანაბარია. მათ შეხვედრაში ყველაფერია მოსალოდნელი".

* * *

თბილისელი ფოტოკორესპონდენტი ვ. გენგიური შარშან უნგრეთში იყო, სადაც ბუდაპეშტის „ნეპშტადიონის" მინდორზე დაესწრო კალენდარულ მატჩს „ფერენცვაროშსა" და „ჩეპელს" შორის.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ „ფერენცვაროშისა" და უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდის წევრებს — ალბერტსა (№ 9) და ვარგას.




### თასების მფლობელთა თასზე...

**კარდიფი.** ოთხშაბათს „ნინიენპარკის" მინდორზე საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ადგილობრივი „კარდიფ-სიტი" შეხვდა გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინს" (პირველი თამაში ჰამბურგში დამთავრდა ფრედ—1:1).

მატჩის დასაწყისშივე ანგარიში გახსნა უელსელმა დინმა. შესვენებამდე გერმანელმა ჰორნიგმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. მეორე ტაიმის დასაწყისში ჰამბურგელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ზეელერმა მეორე ბურთი გაიტანა კარდიფელთა კარში, მაგრამ ახლა მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2. შეხვედრის ბოლო წამებზე ჰორნიგმა მინდვრის ცენტრიდან წამოღებული ბურთი მესამედ გაახვია „კარდიფ-სიტის" კარში — 3:2. ამრიგად, „ჰამბურგერ შპორტფერაინი" გათამაშების ფინალში გავიდა.

**მილანი.** პირველ ნახევარფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მილანი" და მიუნჰენის „ბაიერნი". იტალიელები თავიდანვე შეტევაზე გავიდნენ და ცენტრალურმა თავდამსხმელმა სორმანიმ ანგარიში გახსნა — 1:0. მილანელთა მარცხენა გარემარბმა პრატიმ ფინალურ სასტვენამდე გაიტანა მეორე გოლი და „ბაიერნი" დამარცხდა — 0:2.

### ბაზრობათა თასზე...

**დანდი.** გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიის „დანდი" და ინგლისის „ლიდს იუნაიტედი". საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (გოლების ავტორები არიან ინგლისელი მეიდლი და შოტლანდიელი უილსონი).

### ორი ამხანაგური...

**მალმე.** 2 მაისს ამხანაგურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ფრე — 1:1.

**ლივერპული.** „გუდისონ-პარკის" სტადიონზე ოთხშაბათს ამხანაგური მატჩი გამართეს ინგლისისა და უნგრეთის ახალგაზრდულმა გუნდებმა. ინგლისელებმა ჰოლინსმა, მარშმა (2) და კლარკმა 4 „მშრალი" გოლი გაიტანეს უნგრელთა კარში — 4:0.

(საკ. ინფ.).

## ჭადრაკი...

თბილისში დაიწყო სსრ კავშირისა და საბერძნეთის ჩოგბურთელთა პირველი წრის შეხვედრა დევისის თასზე. პირველად კორტზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თ. ლეიუსი და ნ. კალოგეროპულოსი. საბჭოთა ჩოგბურთელი დამარცხდა — 10:8, 4:6, 4:6, 1:6. სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი შეხვდა პ. გავრილიდისს. პირველი პარტია ქართველმა სპორტსმენმა მოიგო ანგარიშით 6:2, მეორე პარტია კი წვიმის გამო შეწყდა, როცა ანგარიში იყო 1:1.

## ჩეხოსლოვაკია — „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრები

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მოაწყოს მსოფლიო ჩემპიონების — ჩეხოსლოვაკიელებისა და „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრების მატჩი. მანვე დანიშნა ამ „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრების მწვრთნელიც— ცნობილი რუმინელი სპეციალისტი, პროფესორი ი. კუნსტი (რუმინეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი).

კუნსტმა დაასახელა კიდეც კანდიდატები: გრუია (რუმინეთი), ციმერმანი, განხოვი (ორივე — გდრ), ლუნდი, ჰოლსტი (ორივე — დანია), ლუბკინგი, შმიდტი (ორივე — გფრ), კლიმოვი, ცერცვაძე (ორივე — სსრ კავშირი) და სხვ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

▲ რუმინეთის მძლეოსანთა ღია ცის ქვეშ გამართულ პირველსავე შეჯიბრებაში 21 წლის ი. ნაგიმ ბადრო 59,96 მეტრზე ტყორცნა და 47 სანტიმეტრით გააუმჯობესა შარშანდელი ეროვნული რეკორდი.

▲ შვეიცარიის ველოსპორტის ფედერაციამ მშვიდობის XXI ველორბოლაში მონაწილე გუნდში 6 სპორტსმენი ჩარიცხა. ესენია: რიშარი, როსეირი, ლუგინბული, ლიერი, შურტერი და ელიკერი.

▲ საფრანგეთის თანამედროვე ხუთჭიდელთა ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა ფოქსმა (ინგლისი) — 5007 ქულა. II ადგილზეა ფრინგსი (გფრ) — 4888. უხეიროდ იასპარეზა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტიორიოკმა (უნგრეთი). გუნდური პირველობა უნგრელებმა მოიგეს.

▲ საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრების წევრთა საკონტროლო შეჯიბრებაში ჭოკით მხტომელმა დ' ანკოსმა ევროპულ რეკორდზე უკეთესი შედეგი (530 სმ) აჩვენა, მაგრამ ეს კონტინენტის რეკორდად არ ჩაითვლება, ვინაიდან ტურნირი არაოფიციალური იყო.

### თბილისის სპორტული ცხოვრება

**ჩოგბურთი.** „დინამოს" კორტები (სანაპიროს ქ. № 21). 4-5 მაისი. დევისის თასის გათამაშება. I წრე. სსრ კავშირი — საბერძნეთი. დასაწყისი: 4 მაისს — 14 საათზე, 5 მაისს — 11 საათზე.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის ქ. № 48). 4-12 მაისი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დასაწყისი 16 ს.

**რეგბი.** „ლოკომოტივის" სტადიონი (ვაკე). 5 მაისი. საქართველოს პირველობა. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03225